

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 8

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

01.06.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ვარლამ გიორგაძე, სანდრო ხურციძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გადადგომის შესახების ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხს. გელა ჩიკვაიძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება ვანის განვითარებისათვის“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხს. გელა ჩიკვაიძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გადადგომის შესახების ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ საკრებულოს კანცელარიაში შემოსულია ტარიელ ბარამიძის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ის ტოვებს თანამდებობას სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, რომელიც ცნობად უნდა იქნეს მიღებული საკრებულოს მიერ. მან წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ბარამიძის გადადგომის შესახებ.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ცვლილება ფრაქციის შემადგენლობაში. კერძოდ, დეპუტატმა მალხაზ ცერცვაძემ დატოვა ფრაქციის რიგები. ფრაქციაში შესვლა ითხოვა დეპუტატმა ტარიელ ბარამიძემ, რომელიც არჩეული იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ.

მან წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

განკარგულება N27 19)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება ვანის განვითარებისათვის“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ცვლილება ფრაქციის შემადგენლობაში. კერძოდ, დეპუტატმა ტარიელ ბარამიძემ დატოვა ფრაქციის რიგები, ხოლო ფრაქციაში გაწევრიანდა დეპუტატი მალხაზ ცერცვაძე. მან წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვეტის: ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ფრაქცია „ქართული ოცნება-ვანის განვითარებისათვის“ შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ;

განკარგულება N27 20)

მოსმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გელა ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის შესაბამისად უნდა აირჩეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ახალი თავმჯდომარე და საკრებულოს წევრებს სთხოვა, საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, დაესახელებინათ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატურები.

საკრებულოს წევრმა გელა ღვიტიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე) დაასახელა მალხაზ ცერცვაძის კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა. გამოცხადდა 10- წუთიანი შესვენება არჩევნების პროცედურის მოსამზადებლად.

შესვენებისას საკრებულოს სხდომა დატოვეს შემდეგმა საკრებულოს წევრებმა: კობა ძაგნიძემ, ბიჭიკო პაიკიძემ, რობიზონ ფუტკარაძემ, გია ოჩხიკიძემ, თორნიკე ერისთავმა, დავით კაკაბაძემ, მერაბ ხურციძემ.

შესვენების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელიც წარმართა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ საკრებულოს გააცნო არჩევნების შედეგები: ფარული კენჭისყრისას გაიცა 24 ბიულეტენი, ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 24 ბიულეტენი, მალხაზ ცერცვაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 24 საკრებულოს წევრმა, წინააღმდეგი -0. არჩევნების შედეგად, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მალხაზ ცერცვაძე. კენჭი ეყარა შესაბამისი განკარგულების პროექტს:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვეტეს: მიღებული იქნეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ მალხაზ ცერცვაძის არჩევის შესახებ“

განკარგულება N27 21)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე